საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 3949-02
20/12/2018

რექტორის 2018 წლის 18 დეკემბრის N3919-02 ბრძანებაში ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლიდან წარმომადგენლობით საბჭოში წევრობის კანდიდატთა(აკადემიური პერსონალი) არჩევნების ჩატარების თარიღისა და დროის შესახებ“ ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-14 მუხლის, მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 7 ნოემბრის №9 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების“ მე-3 და მე-4 მუხლების საფუძველზე,

ვბრძანებ

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა რექტორის 2018 წლის 19 დეკემბრის N3919-02 ბრძანებაში და არჩევნების ჩატარების ადგილად განისაზღვროს უნივერსიტეტის F კორპუსი, ოთახი F303 ((მის:ქ.ჩოლოყაშვილის 3/5) და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის სკოლიდან** წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის(აკადემიური პერსონალი) კანდიდატთა არჩევნები ჩატარდეს 2018 წლის 20 დეკემბერს, 14:00 საათიდან 18:00 საათამდე (მის:ქ.ჩოლოყაშვილის 3/5, უნივერსიტეტის F კორპუსი, ოთახი F 303); ‘“
2. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის გაცნობა ბიზნესის სკოლის აკადემიური პერსონალისათვის;
3. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;
4. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორის აპარატს, ბიზნესის სკოლას, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ სამსახურსა და უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას.

გიგა ზედანია

რექტორი